


თვითგარტველობის ინდექსით ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტს აქვს

1	50	ქრეხი	67	9	თერჯოლა
2	44	თელავი	68	9	ნაღა
3	44	თბილისი	69	8	თბილისი
4	42	მარნეულის	70	8	ნინოწმინდა
5	40	ზუგდიდი	71	5	ახანა



გამჭვირვალობის, საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხის კუთხით, 71 მუნიციპალიტეტი შეფასდა და მათ შორის ოზურგეთის

მუნიციპალიტეტი მოწინავეა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო კი ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის მხრივ საუკეთესოდ შეფასდა და 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის რეიტინგის მიხედვით საქართველოში პირველია. სპეციალური სერტიფიკატი ანგარიშის პრეზენტაციაზე, საკრებულოს თავმჯდომარეს დავით დარჩიას გადაეცა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი მუნიციპალიტეტების ღიაობასა და

ანგარიშვალდებულებას აფასებს. მისი მიზანი საქართველოში გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ჩამოყალიბებაა.

ინდექსი კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა. პროექტი ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.



ს ა ლ ი ო ნ ი

უპველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. მრავალკვირული გამოშვება. № 49 (10243) 11 დეკემბერი, 2017 წ. შპსი 50 თეთრი.

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

პრევენცია რეგიონული კაბი ბურიაში



7 დეკემბერს, ქალაქ ოზურგეთში, სასტუმრო „სემში“ გაიმართა „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ გურიის რეგიონული კაბის პრეზენტაცია. ღონისძიების მიზანი იყო რეგიონში კაბის ცნობადობის გაზრდა და დანერგვის მხარეების შორის ეფექტური დიალოგის დაწყება. პრეზენტაციას დაესწრნენ რეგიონის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მედიის, თვითმმართველობის, ბიზნესის წარმომადგენლები და სამოქალაქო ლიდერები. შეხვედრაზე მოწვეული საზოგადოება გაეცნო კაბის როლსა და ფუნქციას. პროექტის სამომავლო გეგმებს და იმ საგარეო სარგებელს, რომელსაც მიიღებს რეგიონის სამოქალაქო საზოგადოება. პრეზენტაციის შემდეგ, კაბის ინიცირებით, გაიმართა დისკუსია, რომელშიც სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებმა იმსჯელეს კაბთან და, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებულ მოლოდინებზე, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება კაბს, შექმნას რეგიონის ყველა აქტივთან ეფექტური კომუნიკაციის და ურთიერთთანამშრომლობის სტრატეგია.

ღონისძიება ორგანიზებული იყო ასალგაზრდა მეცნიერთა კლუბის მიერ, „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ პროექტის ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მიერ. პროექტის ფარგლებში, რომლის საერთო ბიუჯეტიც 5,07 მლნ ევრო (აქედან ევროკავშირის კონტრიბუცია 3,8 მლნ ევრო), განხორციელდება სხვადასხვა სახის 110-ზე მეტი აქტივობა და გაიცემა 80-მდე გრანტი, ჯამში 720 ათასი ევროს ღირებულების, სულ მცირე 2500 სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით. პროექტს ასორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის ხელმძღვანელობით. კონსორციუმში შედის: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი.

რიგბარეუ სსლომების მთავარ თემად საკრებულოსა და მერიის საშტატო ნუსხა იქცა

ალიონი. 4 დეკემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგარეუ სსლომა გაიმართა, სადაც სულ 24 საკითხი განიხილეს. პირველ საკითხად „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობრივ პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განიხილეს. საკრებულოს აპარატში ამჟამად 21 საშტატო ერთეულია, 3 თანამშრომელი ხელშეკრულებით იქნება აყვანილი.

საკრებულოს ახალი განყოფილება დაემატება: საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება 6 საშტატო ერთეულით. —2012 წელს 15 კაცი იყო აპარატში, ახლა 24 კაცია. რამ განაპირობა ამ სამსახურის შექმნა? ყველაფერი ხომ გადასახადის გადამხდლების ზურგზე აისახება? — შეკითხვა დასვა **ბესო ქათამაძემ**.

დავით დარჩია: — ოზურგეთის საკრებულო საინტერესო პროექტს ასორციელებს. 5 სოფელში საკრებულოს სსლომის პირდაპირი ტრანდაცია მიმდინარეობს. ახალი საშტატო ერთეულები კი საშუალებას მოგვცემს, ყველა სოფელში მოხდეს სსლომების გადაცემა, მათ შორის დაბა ნასაკირალში — განმარტა მან. საკრებულოს დამოუკიდებელ-



მა დეპუტატმა **ლევან მგელაძემ** განმარტა. გაერთიანებული ძალთანამდებობრივ რანგირებაზე გააკეთა შენიშვნა, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძემ უპასუხა. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას მხარი ბესო ქათამაძემ და ლევან მგელაძემ არ დაუჭირეს. საკრებულომ განიხილა საკრებულოს კომისიების დებულებები და პერსონალური შემადგენლობები. განხილული იქნა საკითხი მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ. საკითხი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ წარმოადგინა. — მე არავისთან პრეტენზია არ

გამაჩნია. გაერთიანებული ძალთანამდებობრივ რანგირებაზე გააკეთა შენიშვნა, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძემ უპასუხა. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას მხარი ბესო ქათამაძემ და ლევან მგელაძემ არ დაუჭირეს. საკრებულომ განიხილა საკრებულოს კომისიების დებულებები და პერსონალური შემადგენლობები. განხილული იქნა საკითხი მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ. საკითხი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ წარმოადგინა. — მე არავისთან პრეტენზია არ

— ყველამ ერთად ვიპოვეთ, შევეჯერდით თემებზე და გასწორებული ვარიანტი წარმოვიდგინეთ. საშტატო ნუსხა თემების მუნიციპალიტეტის მიხედვით წარმოვიდგინეთ. — განმარტა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ეროდი გორდელაძემ**. დეპუტატმა „ევროპული საქართველოდან“ **მიხეილ გოგოტიშვილმა** შეკითხვა დასვა სოფლის მეურნეობის განყოფილებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლების სახელფასო სარგოს შესახებ. — ყველას ძალიან კარგად გვასოვს მიმდინარე წელს რა სავალალო შედეგი მოგვიტანა

რიგბარეში სხდომის მთავარ თემად საკრებულოსა და მერიის საშტატო ნუსხა იქცა



მაგნიტობა მწერმა ფაროსანამ, ამიტომ ჩვენი აზრით, 2018 წელი უნდა გამოცხადდეს „ფაროსანასთან ბრძოლის წლად“. მუნიციპალიტეტის მერიის ახალი საშტატო ნუსხის თანახმად, ეკონომიკური განვითარების და ქონების მართვის სამსახურში სოფლის მეურნეობის განყოფილება წარმოდგენილია მხოლოდ 3 თანამშრომლით. ზემოაღნიშნულიდან ვფიქრობთ რომ აუცილებელია უფრო მეტი მოხილვა ამ პრობლემის მოსაგვარებლად და უმჯობესი იქნება სოფლის მეურნეობის სამსახურის შექმნა და მაქსიმალური მოხილვა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. აღნიშნა გოგოტიშვილმა.

—ორი დღე ვიმუშავებთ რომ შევჯერებულყავით —თქვა დავით დარჩიამ. უპასუხოდ დარჩა უზუცესი დეპუტატის „პატრიოტთა ალიანსიდან“ ნანუკი ორაგველიძის შეკითხვა, თუ რატომ არ იყო წარმოდგენილი საშტატო ნუსხაში უმცროსი სპეციალისტები, მიუხედავად მათი კატეგორიებისა. საშტატო ნუსხის შესახებ განმარტება გააკეთა არასამთავრობო ორგანიზაცია „მმართველობის სისტემების განვითარების ცენტრის“ აღმასრულებელმა დირექტორმა კოკა კილურაძემ. —გუშინ და დღეს ვმუშაობდით ამ საკითხზე. განსაკუთრებით მინდა მადლობა ვუთხრა ეროლი გორდელაძეს.

ჩვენ გავითვალისწინეთ შენიშვნები. განსაკუთრებით გაძლიერებული იქნება მდიასთან ურთიერთობის კომპონენტი. ადამიანები შეირჩევა მოხილვის წესით, თავიანთი პროფესიონალიზმის ნიშნით —განაცხადა კილურაძემ.

დეპუტატ მარიკა ჩხიკვიშვილის აზრით, მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე მომუშავეთა 2 საშტატო ერთეული არასაკმარისია, თუმცა კილურაძის განმარტებით საშტატო კვოტა მეტის საშუალებას არ აძლევთ, რადგან სახელფასო ფონდი მთლიან ბიუჯეტის 25 პროცენტს შეადგენს. სხდომაზე დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს კითხვები არ დაუსვამთ.

—არ გვინდა მეტი განხილვა, დროზე ვუყაროთ კენჭი —თხოვდა რამდენიმე დეპუტატი. საკრებულომ მიიღო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი. პროექტისათვის ხმა არ მიუციათ მიხეილ გოგოტიშვილს, დავით მამალაძეს.

საკრებულოს სხდომის მომდევნო პერიოდში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ მოადგილეებად ირაკლი სირაძე და ოსიკო თოთბაძე დანიშნა. დასმულ კითხვაზე მერიის მიერ წარ-

მოდგენილი საშტატო ნუსხის მიხედვით თუ რატომ მცირდებოდა მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის თანამშრომლები, ერთ-ერთ მდიასშუალებასთან კონსტანტინე შარაშენიძის თანაშემწე კოკა კილურაძემ განაცხადა რომ მერიის მიერ წარმოდგენილი საშტატო ნუსხის მიხედვით, მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის თანამშრომლები შემცირდებიან. საშტატო ნუსხა ვერ ითვალისწინებს მეოთხე რანგის კატეგორიას, შესაბამისად, მოხილვის წესი აღნიშნულ პირობებზე არ იმოქმედებს.

მანვე განმარტა, რომ „მეოთხე რანგი გათვალისწინებულია მხოლოდ მერიის წარმომადგენლების თანაშემწეებისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილების მოტივაცია შემდეგია — მუნიციპალიტეტის მერიაში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე მუშაობდეს მაღალკვალიფიციური და შესაბამისად, შედარებით უფრო მაღალი ანაზღაურების მქონე მოხელეები. საშტატო ნუსხა ორიენტირებულია სწორედ ამ მიმართულებით და შესაბამისად, ვერ გაითვალისწინებდა ქალაქ ოზურგეთის და ოზურგეთის სათემო მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეების კონკრეტულ სპეციფიკას. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 15 საჯარო მოხელე მუშაობდა სწორედ საჯარო სამსახურის მეოთხე რანგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე. საჯარო სამსახურში მოხილვის წესი ითვალისწინებს ლიკვიდირებული საჯარო დაწესებულებების თანამშრომლებისთვის იმავე ანუ უფრო დაბალი თანამდებობის შეთავაზებას. აღნიშნული წესის მიხედვით.“

თუმცა მუნიციპალიტეტმა მომდევნო დღეებში იმუშავა, რათა გამოეყენებინა მე-4 რანგის პირველი კატეგორიის სპეციალისტების მოხილვის პროცესში მიიღოთ მონაწილეობა. გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კიდევ ერთი რიგგარეშე სხდომა გაიმართა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი-

ის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგებების ოდენობის განსაზღვრის და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კვლავ იმსჯელეს.

აღნიშნული საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულსაკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ეროლი გორდელაძემ.



საკითხის გარშემო გამართული კამათისას დეპუტატმა „ქართული ოცნებიდან“ მარიკა ჩხიკვიშვილმა მიმართა მერიის წარმომადგენლებს: — „თუ თქვენს კომპეტენციაში შედის საშტატო ნუსხის შედგენა, ჩვენს კომპენ-

ტაციამდე მისი დამტკიცება“ ამის შემდეგ გამოცხადდა შესვენება და საკითხის განხილვამ საკრებულოს შესაბამის კომისიებში გადაინაცვლა. მერიის წარმომადგენლები და საკრებულოს დეპუტატები საშტატო განრიგის დეპუტატები არც ინფლაცია მოქმედებს? — განაცხადა ნინიძემ.

დეპუტატმა ბესო ქათამაძემ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ შეკითხვა დასვა თუ რა ფუნქცია ჰქონდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეს, რაზე ვადაც დავით დარჩიამ უპასუხა, რომ შეეძლო ამ საკითხზე ინფორმაცია საკრებულოს აპარატში მიიღოს.

სხდომის დასრულების შემდეგ მერიის ორგანოებმა დეპუტატმა ლევან ნინიძემ დასვა კითხვა: თუ რატომ იყო დეპუტატის ანაზღაურება თვეში 400 ლარი (დეპუტატის ხარჯები)?



იმ დროს, როცა მუნიციპალიტეტში დამლაგებლის ხელფასი 650 ლარს შეადგენს. გამოდის, რომ გვეუბნებიან, არ ვიმუშაოთ. ნუთუ ამ ხელფასებზე არც ინფლაცია მოქმედებს? — განაცხადა ნინიძემ. ლევან ნინიძის კითხვაზე პასუხი არ გაუციათ. გასულ პარასკევს მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ნაწილი თანამდებობებზე უკვე დაინიშნა.

ოჯახების მხარდაჭერის მიზნით

„ჯანმრთელობის დაცვისა და ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი“ ახორციელებს პროექტს „გურიის რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სოციალური მუშაკების როლის გაძლიერება ოჯახების მხარდაჭერის მიზნით.“

პროექტი მიზნად ისახავს ოჯახის გაძლიერების და ბავშვის ოჯახისგან დაშორების პრევენციის ხელშეწყობას საჭიროებებზე დაფუძნებული სერვისების მოდელის შემუშავებას, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისა და ინტერსექტორული თანამშრომლობის განვითარების გზით.

ამ საკითხთან დაკავშირებით 8 დეკემბერს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც დაესწრნენ გურიის რეგიონის სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, დღის ცენტრის პედაგოგები, არასამთავრობო ორგანიზაციის, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე აღნიშნული პროექტის შესახებ ვრცლად ისაუბრეს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების სამმართველოს უფროსმა ამირან დათეშვიძემ და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელობის დაცვისა და ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრის“ დირექ-



ტორმა ნინო მირზიკაშვილმა. ადგილობრივი პროგრამები და გურიის რეგიონის პრიორიტეტები პრევენციის სახით წარმოადგინა გურიის გუბერნატორის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილმა.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს მიერ პროექტის „სოციალური მუშაკები სოციალური ცვლილებისთვის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (SWIC)“ ფარგლებში და ახორციელებს „საქართველოს სოც-

ალურ მუშაკთა ასოციაცია“ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: ჰილფსვერკ ავსტრია (HWA), სოშვიის სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (AASW), აზერბაიჯანის სოციალური მუშაკების საზოგადოებრივი კავშირი (ASWPU) და მოლდოვის რესპუბლიკის ექსპერტთა ასოციაცია (NARM). პარტნიორი ორგანიზაციებია: ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი და ანაზღაურდა პედაგოგთა კავშირი.

მეთევან ხიდაშელი კატო მიქელაძის სახელობის პრემია მიენიჭა

კატო მიქელაძის სახელობის პრემიის წლებადღეობის მფლობელი დასახელებულია - ქეთევან ხიდაშელი, ქალთა უფლებების დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები რეგიონული განვითარებისათვის“ ხელმძღვანელი.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, 2018 წლის მარტში ქეთევან ხიდაშელი გაემგზავრება ნიუ-იორკში, სადაც მონაწილეობას მიიღებს გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის სხდომაში.

წელს კატო მიქელაძის სახელობის პრემიაზე ნომინირებული იყო 15 ღირსშესანიშნავი ქალი საქართველოს რეგიონებიდან, ქალთა უფლებების აქტივისტები, რომელთა საქმიანობა გენდერული თანასწორობის სხვადასხვა სფეროს მოიცავს - გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლიდან თვითმმართველობასა და ბიზნესში ქალთა თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობამდე. კატო მიქელაძის სახელობის პრემია „ქალთა ფონდმა საქართველოში“ 2013 წელს დააწესა და ყოველწლიურად გადასცემს ერთ ქალ უფლებადამცველ აქტივისტს. დაჯილდოება იმართება გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში.



კატო მიქელაძის სახელობის პრემიის მხარდამჭერები ტრადიციულად არიან პოლანდიური ფონდი Mama Cash, შვედეთის მთავრობა, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). კატო მიქელაძის სახელობის პრემიის წლებადღეობის მფლობელი დასახელებულია - ქეთევან ხიდაშელი, ქალთა უფლებების დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები რეგიონული განვითარებისათვის“ ხელმძღვანელი.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, 2018 წლის მარტში ქეთევან ხიდაშელი გაემგზავრება ნიუ იორკში, სადაც მონაწილეობას მიიღებს გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის სხდომაში.

არაორდინალური პრემიერა

ბეკეტის „თამაში“ განსხვავებულ სივრცეში

თეატრ მარშანიშვილი

5 დეკემბერს ახალგაზრდა რეჟისორმა მამუკა ბაბილოძემ, რომელიც წარმატებით განაგრძობს ექსპერიმენტებს ოზურგეთის თეატრში, სამუელ ბეკეტის პიესა „თამაში“ ერთობ განსხვავებულ სივრცეში - ოზურგეთის მერაბ ბერძენი-ვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნებისა და სურათების გალერეის საგამოფენო დარბაზში წარმოგვიდგინა. ეს იყო ოზურგეთის თეატრისა და ოზურგეთის სურათების გალერეის ერთობლივი პროექტი, რომლის ხორცშესხმას ინტერესით მოელოდა მყურებელი, რამეთუ დაანონსებული გახლდათ, რომ ამჯერად ახალგაზრდა რეჟისორი შეეჭვიდა ურთულეს აბსურდის დრამას.

როგორც თეატრის პრესსამსახურის უფროსის ლია კილაძის პრესრელიზში ვკითხულობთ, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვასო ჩიგოგიძის სიტყვებით, „არაორდინალურია არა მხოლოდ ადგილი, არამედ პიესაც, ბეკეტის სახელი აბსურდის დრამასთანაა დაკავშირებული, მისი მკაცრი, მინიმალისტური შემოქმედება ძირითადად ადამიანური არსებობისადმი პესიმისტური დამოკიდებულებითაა ცნობილი. თუმცა, ეს პესიმინიზმი მის პიესებში ყოველთვის იუმორს უკავშირდება და საბოლოოდ განქიქ-

ბის სახეს იღებს. ბეკეტის „თამაში“ ერთ-ერთ ყველაზე რთულ სათეატრო ტექსტად არის მიჩნეული და მას მსოფლიოს სხვადასხვა თეატრი იშვიათად დგამს. პიესა საქართველოში ერთხელ, რუსთაველის თეატრში განხორციელდა, ხოლო მეორედ ახალი და ახლებური სცენური სიციცხლე მან, ოზურგეთის თეატრის მეშვეობით, ოზურგეთის სურათების გალერეაში პოვა“.

ეს არ იყო წარმოდგენა, რომელზედაც ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმის თქმა, რომ პრემიერა შედგა, რადგან პრემიერის შემდეგ დამსწრე საზოგადოების ერთი ნაწილი რამდენადმე დაბნეული მეჩვენა, მეორე ნაწილი კი, მოსაწონად, მხოლოდ ზოგადად კომენტარებდა. ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა ძალიან ახალ, ჯერ კიდევ შეუცნობ წარმოდგენასთან გვაქვს საქმე. ბეკეტს კი, ჩემი აზრით, ვერც ერთი წაკითხვით შეიცნობ და ვერც ერთი ნახვით, საამისოდ მაყურებელს შემზადებაც სჭირდება, ალბათ. თუმცა, რამდენადაც მასსოვს, აბსურდის ჟანრთან შეხება ჩვენი თეატრის მსახიობებსაც ჰქონდათ და მაყურებლებსაც ეყენ იუნესკოს „მაკბელში“.

დამდგმელი რეჟისორის მამუკა ბაბილოძის თქმით, მაყურებელს

დარჩება კონკრეტული დეტალები, რომლებიც მეტად იმოქმედებს, ვიდრე, ვთქვათ, სიუჟეტი, რაღაც ამბავი. შეიძლება მთლიანი ხაზი მსახიობის ანალოგისა არ დაამახსოვრდეს, მაგრამ კონკრეტული რაღაცეები აუცილებლად დაამახსოვრდება:

„რატომ გადავწყვიტე ამ სპექტაკლის დადგმა? სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. ალბათ, ქვეცნობიერად რაღაცამ მიკარნახა. რომ ახლა ეს საჭიროა და ამით რაღაც სათქმელი მაქვს გამოკვეთილი-მეთქი, ასეთი რამ ნამდვილად არ გამაჩნია. რაღაცანიად ახლოს ვარ ბეკეტთან, ამ პიესასთან, აქედან გამომდინარე, სამი ადამიანის ურთიერთობასთან, რომლებმაც ერთმანეთი დაკარგეს და შემდეგ ვიღაც თამაშითა და ძალდატანებით, ცდილობს, მათი ქვეცნობიერადან ამოწიოს ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანი იყო სამყაროში, როცა ისინი ცოცხლობდნენ. ამ პერსონაჟებს აცნობიერებინებენ, რა არის აბსურდი, ოღონდ, როგორც ვთქვით, ეს ხდება ძალდატანებით. დედამიწაზე კი ადამიანი ისე ცხოვრობს ამ აბსურდში, რომ არც არავის იკარებს და არც არავინ აძალბებს, თქვას სიკვდილის შემდეგ რა ხდება. ისე ცხოვრობს, როგორც არაფერი და აქ უკვე ვიღაც ბეკეტისნაირი, - არ ვიცი, რა ეპითეტი ვიხმარო, - მოთამაშე ადამიანი ძალით აცნობიერებინებს რაღაცას ადამიანებს და მთელი დრამა ეს არის. ეს იყო იმ სამი ადამიანის მონოტონური აზრობრივი წრე, რომელიც დაიწყო ზუსტად წრით, მაყურებელი დარბაზში შემოვიდა უკვე დაწყებულ წარმოდგენაზე და დარბაზიდან გავიდა წარმოდგენის დამთავრებამდე.“



დაიძვედრებს თუ არა ბაბილოძისული ბეკეტის „თამაში“ ოზურგეთის თეატრის რეპერტუარში ადგილს, ეს მალე გამოჩნდება. მისასაღებელია, რომ ახალგაზრდა რეჟისორი დრამატურგიულ სიძნელებებს არ უშინდება და ასე აპირებს თეატრალური ხელოვნების კიბეების საფეხურების აგვას.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები თამარ მდინარაძე, შორენა გვეტაძე და ზვიად ჯორბენაძე. ალტერნატიული სივრცე მხატვრულად გააფორმა მხატვარმა თამაზ დარჩიამ.

სივრცეში და მთელი დრამა ეს არის. ეს იყო იმ სამი ადამიანის მონოტონური აზრობრივი წრე, რომელიც დაიწყო ზუსტად წრით, მაყურებელი დარბაზში შემოვიდა უკვე დაწყებულ წარმოდგენაზე და დარბაზიდან გავიდა წარმოდგენის დამთავრებამდე.“

დავით ცეცხლაძე გურიის რეგიონის 2017 წლის ჩემპიონი ჭადრაკში



ალიონი. ოზურგეთის სპორტის სასახლეში ერთ კვირაზე მეტს მიმდინარეობდა გურიის 22-ე ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების 10 საუკეთესო მოჭადრაკე მონაწილეობდა. 7 ოსტატობის კანდიდატს შორის 4 გასულ წლებში უკვე ფლობდა ჩემპიონის ტიტულს. სტატისტიკას თუ გადახედვით, გურიის ჩემპიონატების ისტორია რეგიონული ფედერაციის დაფუძნების დღიდან, 1995 წლიდან იმართება და სხვა რეგიონებიდან განსხვავებით იგი დღემდე არ ჩავარდნილა. გურიის ჩემპიონობას სხვადასხვა წლებში სულ 8 მოჭადრაკე ფლობდა. ლანჩხუთიდან ნუგზარ გვარჯალაძე (3-ჯერ), რუსუდან ჭკუასელი (3-ჯერ), ქრისტინე მყავია (4-ჯერ), ტარიელ ხუხუნაიშვილი (2-

ჯერ). ოზურგეთიდან აწ გარდაცვლილი თორნიკე ხვედელიძე (ოზურგეთიდან მან პირველმა, 16 წლის ასაკში მოიპოვა ჩემპიონობა), მინდია ჩხიკვიშვილი (2-ჯერ), გიორგი გოგოლაური (2-ჯერ) და დავით ცეცხლაძე (2-ჯერ). ჩოხატაურიდან ამირან ბერძენიშვილი (ერთხელ), გივი ქორიძე (2-ჯერ). გურიის ჩემპიონატს 16-ჯერ უმაჰასინძლა ოზურგეთმა, ლანჩხუთმა 5-ჯერ და ერთხელ ჩოხატაურმა.

საინტერესოა ისიც, რომ თუ წინა წლებში ლანჩხუთის წარმომადგენლებს ჰქონდათ უკეთესი შედეგები, ბოლო ხუთი წლის მანძილზე ეს უპირატესობა ოზურგეთელების მხარეზე გადავიდა.

წლებიდან ჩემპიონატზე ლანჩხუთელები დაკარგული პოზიციების აღსადგენად ჩამოვიდნენ ჩემპიონობას თუ არა ვიცე-ჩემპიონობას მაინც მოე-

იპოვებო. ჩემპიონატი მართლაც საინტერესოდ წარიმართა. ტურნირის ეკვადორზე ათიდან შვიდ მონაწილეს შორის სხვაობა 0,5-1,0 ქულას შეადგენდა და ჩემპიონობის რეალური შანსი ჰქონდა. სტარტი ზედიზედ სამი მოგებით დაიწყო ლანჩხუთელმა ადამ ხუხუნაიშვილმა და პირველად ის მოექცა ცხრილის სათავეში, შემდეგ მას მოჰქმლი ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი გიორგი გოგოლაური და გივი სიამაშვილი წამოეწია და გაასწრო. ფავორიტებიდან სასურველი სტარტი არ ჰქონდა ნუგზარ გვარჯალაძეს, გიგა ქუტიძეს და დავით ცეცხლაძეს. ამ უკანასკნელმა მეორე ტურში პარტია დათმო მოქმედ ჩემპიონთან, ხოლო გიგამ მოსაგებ პარტიებში ერთი წააგო და ერთიც ყაიმი ითამაშა. და მაინც, 7 ტურის შემდეგ ყველა ხსენებულმა მოჭადრაკე ჩემპიონობის შანსი დაიტოვა. დასკვნით ეტაპზე ყველაფერს ერთმანეთთან დარჩენილი პარტიები წვევებდა. სამწუხაროდ, გიგა ქუტიძემ, რომელმაც, მიუხედავად იმისა, ჩემპიონატზე მაღალი სათამაშო ოსტატობა აჩვენა, ნ. გვარჯალაძესთან რეალურად მიღწეული ყაიმი ალამის ჩამოვარდნამდე ვერ დააფიქსირა, არადა, დაკარგული ნახევარი ქულა მას საპრიზო ადგილის რეალურ შანსს აძლევდა. ბოლო ტურში ერთმანეთს ლიდერები გივი სიამაშვილი და დავით ცეცხლაძე სვდებოდა და ამ პარტიას უნდა გადაეწყვიტა სამივე ადგილის ბედი. თუ გივი მოიგებდა 7,5-7,5 ქულას უგროვდებოდა გოგოლაურთან ერთად და ჩემპიონი ბერგერის კოეფიციენტით გამოვლინდებოდა. ყაიმის შემთხვევაში დ. ცეცხლაძეს და გ. გოგოლაურს ერთნაირი ქულები ექნებოდათ და მაშინ გ.

გოგოლაური ხდებოდა ჩემპიონი, რადგან მას ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა ჰქონდა. ასე რომ, დავით ცეცხლაძეს ჩემპიონობისათვის მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს. ამ შემთხვევაში გ. გოგოლაური მეორე იქნებოდა, ხოლო გივი სიამაშვილი ბერგერის უკეთესი კოეფიციენტით მესამე ადგილზე რჩებოდა. მართლაც ასე მოხდა, დავით ცეცხლაძემ რომელმაც, ერთი პარტიის გარდა, ყველა მოიგო, 8 ქულა დააგროვა და მეორედ მოიპოვა გურიის ჩემპიონობა. 7,5 ქულით შარშანდელი და შარშანწინდელი ჩემპიონი გიორგი გოგოლაური ამჯერად ვიცე-ჩემპიონის რანგში მოგვევლინა, გასული წლის ვიცე-ჩემპიონს გივი სიამაშვილს კი მესამე ადგილი ერგო. სამეულს მიღმა დარჩნენ ლანჩხუთელები, მათ შორის საუკეთესო შედეგით (6,5 ქულა) გურიის სამეზის ჩემპიონი ნუგზარ გვარჯალაძე მეოთხე ადგილს დაყაბულდა.

ჩემპიონატში საუკეთესო ვეტერან მოჭადრაკეთა ქვოლთით მონაწილეობდა დამსახურებული ინჟინერ-მექანიზატორი,

ოზურგეთელი 87 წლის რომან კუტუბიძე, რომელიც ძლიერ მოჭადრაკეთა ძველი თაობის წარმომადგენელია და დღესაც კარგ ფორმაშია. მისი თამაშის მანერა კომბინაციუზა აგებული და ყოველთვის იწვევს ჭადრაკის მოყვარულთა განსაკუთრებულ ინტერესს. ასე იყო ამჯერადაც, თუმცა, საბოლოო შედეგი მოკრძალებული ჰქონდა.

ჩემპიონატის დახურვაზე, რომელიც საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა, წარმატებული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ თასით, შესაბამისი სინჯის მედლებით, სპეციალური დიპლომებით, ფულადი თანხით და ფასიანი საჩუქრებით, რომელთა გადაცემაში მონაწილეობდა გურიის გუბერნატორის მოადგილე გია ებრალიძე და ჩემპიონატის ორგანიზატორები - ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორი გოჩა კვანტალიანი და გურიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ ანდლუაძე.



სამყაროს წარმოშობა

წერილი მეოთხე

მაკროსამყაროს სტრუქტურა

დღემიწაზე ჩვენთვის მხოლოდ მოკლე გალეება არის განკუთვნილი. როგორც სანთელი, ჩვენ ვინთებით, ცოტა ხანში ვიწვით და ვქრებით. რატომ ვერაფერს ვსწავლობთ ჩვენ ამ მოკლე მიწიერი ვიზიტის დროს ისე ცხოვრებას, რომ სიკვდილად წოდებული დიდი ქარავნის მოახლოებისას, როდესაც ის გამოგვიცხადებს, რომ ჩვენი დრო მოსულა, შიშისა და კანკალის გარეშე შევძლოთ „დიდ უცნობში ფეხის შედგმა“?

ამ ციტატის მოყვანა იმიტომ დამჭირდა, რომ უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა მკვლევობებმა სულიერად შემძრა. ვფიქრობ, მეტად დიდი დაფიქრება გვჭირდება იმისათვის, რომ მომავალი თაობები დიდი სულიერებითა და წიგნისადმი სიყვარულს დაუბრუნოთ. წიგნი ხომ ყოველთვის რჩება შეუცვლელ წყაროდ ცოდნის ინფორმაციის მისა-

ებად, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვა არის აზრის ენერგიით გამოხატვა. ენერგიას კი მიზანმიმართული წარმართვა სჭირდება. ახალგაზრდებში უნდა შევძლოთ კოსმოსური მოვლენებით დაინტერესება და მისი გაანალიზების ჩვევების გამოუმუშავება. ასევე თეოლოგიის, როგორც მეცნიერების საფუძვლების, შესწავლა და ჩაფიქრება ცხოვრებისეულ საკითხებზე. დრო ნაკლები უნდა გვრჩებოდეს ქუჩაში უქმად დგომისათვის.

ახლა კი განავარაუდოთ მიკროსამყაროს სტრუქტურის გაანალიზება, რომელიც თავისთავად შედგება შვიდი ქვესამყაროსაგან, კერძოდ:

1. მენტალური სამყარო – სამყაროს უმაღლესი აზროვნების ცენტრი (მამადმერთი);
2. ფიზიკური სამყარო – ცოცხალ არსებათა შექმნისა და განვითარების სამყარო;

3. ასტრალური სამყარო – ჩვენი სულების ადგილსამყოფელი;

4. სამშენებლო სამყარო. სამშენებლო ადგილსამყოფელი, როცა ისინი ჩვენს სხეულებში არ იმყოფებიან.

5. ჩვენი ბედისწერის დამდგენი სამყარო;

6. ბოროტების სამყარო – ჯოჯოხეთი, ანუ ჩვენს ფიზიკურ ცხოვრებაში მოსალოდნელი ბოროტების მიღებისთვის, ინკარნაციული შეგნების აურაში საჭირო მუქი ლაქების წარმოქმნის სამყარო;

7. სიკეთის სამყარო – სამოთხე, ანუ ჩვენს ფიზიკურ ცხოვრებაში მოსალოდნელი სიკეთის მიღებისთვის, ინკარნაციული შეგნების აურაში საჭირო ნათელი ლაქების წარმოქმნის სამყარო.

სანამ ადამიანი ცოცხალია, სამშენებლო მისი მოღვაწეობის ყოველ წვრილმანს გადასცემს

ჩვენს სულებს ასტრალურ სამყაროში, ხოლო ისინი, თავის მხრივ, მენტალურ სამყაროს. ადამიანის სიკვდილის შემდეგ სამშენებლო გადადის თავის სამყაროში, სამშენებლო სამყაროში და ელოდება სულის ახალ ბრძანებას მორიგი განსხვავების შესასრულებლად.

ბედისწერის სამყარო ადგენს ადამიანის ბედისწერას, ანუ მისი მოღვაწეობის ჩარჩოებს, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური ცხოვრებისას, მის მიერ ნამოქმედარი საქმეები.

ბედისწერის სამყაროში დგინდება მომავალი ადამიანის ბედისწერის, ანუ მისი მომავალი მოღვაწეობის თეორიული მხარე.

ფიზიკური სავსეა ჩვენთვის ხილული ვარსკვლავებით ვარსკვლავები წარმოადგენენ ისეთივე უმცირეს ნაწილაკებს, ფიზიკური სამყაროსათვის. როგორც მენდელეევის ელემენტები წარმოადგე-


ნენ ჩვენი ცხოვრებისათვის.

ფიზიკური სამყაროს შემადგენელი ვარსკვლავების 90-95% დასახლებულია ცოცხალი არსებებით. ფიზიკურ სამყაროში არსებობს უამრავი შავი ხვრელი, რომლებიც გრივალისებურად თავის შიგნით იტაცებენ ვარსკვლავებს. ეს პროცესი აღინიშნება ცაზე ნათელი ზოლის გავლებით, რომლებსაც ადამიანები უწოდებენ ვარსკვლავის ვარდნას. ეს პროცესები XXI საუკუნემდე წარმოადგენდა ამოუხსნელ საიდუმლოებას. დღეისათვის იგი სრულფასოვნადაა ამოხსნილი. შავი ხვრელი თავის შიგნით იტაცებს ფუნქციონირებულ ვარსკვლავებს, რომლებსაც განდევნის სამყაროს ფარგლებს გარეთ.

(გაგრძელება იქნება)

ბურამ ცმრცვაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

სკანვორდი



						სარდალი		წერილობითი საჩივარი			სასჯელის სახეობა	
						ჯამბაზი		მუხას რომ შეესია				
								სოფლის ყრილობა			ებრაელი	
											დედამიწის ქული	
								ჩითილის გამოსავანი				
								წყლის ტრანსპორტი				კომპანია
						სასწორის ჯამი					უზბეკეთის დედაქალაქი	
						ჩერია						
						ქალის სახელი		მხარე საქართველოში				ნიადაგის ფენა
						ქართული ცეკვა		ცეცხლის გასაჩაღებელი			საკონცენტრაციო ბანაკი	
						ნაღლის მოფერებითი სახელი					ბანქო	
						ადამის მეუღლე					საწინააღმდეგო	ხშირი ტყე
						საქონლის სადგომი					სამხრეთის ქარი	
						თმის საღებავი						
						ღრთის საზომი						

№ 48-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – გილბერტ ჩესტერტონი; მდინარე ზამბაზი – კაბოზო; სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან – სანეევი; მალაზო – სალბუნი; საილენი – რვალი; რუსული ავტომობილი – ნივა; ცისფერი მთები – ტიანშანი; უცნობი – ინკონიტო; რძის ნაწარმი – ერბო; რ-2-ს სატირული ანიმაცია – დარლუბა; საომრად აგებული ციხე-სიმაგრე – ბასტიონი; პერიოდული სისტემის შემქმნელი – მენდელეევი; ჯომილოუნგმა – ევერესტი; საორბიტული გაზეთი – ლელო; თმის საღებავი – ინა; ეროვნული პარკი შვედეთში – აბასკუ; მცირე ზომის ნავი – სანდალი; სალიანდგო რკინა – რელსი; ზღვიდან ხმელეთში შეჭრილი ვიწრო ზოლი – სრუდე; ბათუმის ყოფილი – მერი; მონღოლური სახელი – ნურსუნ; ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა – ოწინარი; მესამე პირის ნაცვლასახელი – იგი; საიმინდე – ნალია; სოლო ოპერაში – არია; შავი ქარვა – სათი; რაც უნდა გაბრწყინდეს – იბერია; შინაური ცხოველი – კატა; ინგლისელი ფეხბურთელი – რუნი; გრძელის ანტიპოდე – მოკლე; ზედმეტად პრინციპული – ჯიუტი; პურის ხელით სამკელი იარაღი – ნაბეალი; დიდი გამოქვაბული – მღვიმე; ქვაბიდან წყნაინის ამოსაღები – ჩაჩა; კოლხთა მფეე – აიუტი

„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“

ოფორიანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში წარმატებით ბრძანდება სკოლაგდელი აღზრდის ცენტრის მეთოდური განყოფილების პროექტი „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“ (პროექტის ხელმძღვანელი ნაილი ბრძანაძე)

აკლოდისმენტები და ბრავო ბავშვებს



სოფელ ბავშვის საბავშვო ბაღის მისთვის ჩვეული და საზოგადოებისთვის მოსაწონი ხელწერით განაგრძობს სკოლაგდელი აღზრდის ცენტრის საკონკურსო პროექტებში მონაწილეობას. სამზაო ჯგუფის აღსაზრდელეზმა ამჟამადაც ავეიშალებს საწ-

ერად საღერდელი. ისე გაისარჯნენ, ისე იმსახიბეს, ისე ილაღეს და ყოველივე ამის ხარჯზე იმდენად კარგი წარმოდგენა გვიჩვენეს, რომ გულთბილი, ხანგრძლივი აპლოდისმენტების გამოხატვისა და „ბრავო“ შემახილების ხასიათზე დაგვაყენეს.

ქებათა ქება სამზაო ჯგუფის მართლაც ნიჭიერ აღსაზრდელებს: თიკო აბულაძეს, ანასტასია ახალაძეს, ლუკა ბაჯელიძეს, მიაშარი გონგლაძეს, ელენე გოგინაიშვილს, ანაშარია გუბელიძეს, ნუცა თენიშვილს, დავით თვალაბიშვილს, ია ინწკირველს, ანა კორძაძეს, ოთო ლაზიშვილს, საბა ლომაძეს, დავით ნიკოლაშვილს, მარიამ ნიკოლაშვილს. ელენე ჟღერას, ნიკოლოზ ჭვლიძეს, ქეთი ზაბურდინას.

საბავშვო ბაღის მენეჯერი – თამარ თოიძე, მუსიკის მასწავლებელი – შინა მამალაძე, აღმზრდელები – ირმა გუჯაბიძე, თამარ მუსელიანი.

კიბითელმა კატარეზმა „თამაშების სამყაროში“ გვამოგზავნა



სოფელ ძიძითის საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა „მოგზაურობა თამაშების სამყაროში“ იმდენად შთამბეჭდავი გამოდგა, რომ ძიძითელი საბავშვო ბაღის მენეჯერი – ირმა გუჯაბიძე არ დაგვიძინა. ამ მოგზაურობაში, ბავშვების მიერ განსახიერებულ ზღაპრის გმირებთან ერთად, მონაწილეობდნენ როგორც საბავშვო ბაღის

თანამშრომლები, ისე დამსწრე საზოგადოება და ექსტრაში შესულ ამ „ცოცხალ სამყაროს“ სულაც არ სურდა ზღაპრული სამყაროდან გამოსვლა. გატაცებით ძიძითელი ვუნდერკინდები: დავით ანდლუაძე (წამყვანი), ნიკოლოზ მეტეხიანი (პრინცი), ანასტასია ზურციტი (ფერია) ზურა

სვანიძე (ზღაპრი), ირაკლი სვანიძე (მედი), ვიკი ჭვლიძე (თინათინი), ია ხინთიბიძე (პრინცესა), ელენე ხინთიბიძე (მელია), რეზიკო მასარაძე (მსახური ბიჭი), მარიამ ბლაღაძე, გიორგი გვარჯილაძე (მსახური ბიჭი), ლიკა გავუა (წამყვანი), სალომე სალუქვაძე (წამყვანი, მოგზაური), ბარბარე სალუქვაძე (წითელქუდა), საბა ფაცაცია (მეობარი), ლუკა გონგაძე (მოგზაური), ნანიკო პატიშვილი (წითელქუდას მეგობარი), სანდრო მორჩილაძე (დათვი).

საბავშვო ბაღის მენეჯერი – ნანა იბროლა შენგელია, I ცვლის აღმზრდელი – მარინე პატიშვილი (წამყვანი), II ცვლის აღმზრდელი – თამაზ ბრეგვაძე (დედინაცვლი), აღმზრდელის თანაშემწე – ნინო სალუქვაძე (დედინაცვლი), მუსიკის პედაგოგი – გულიან გვინჯაია.

ლაითურის №2 საბავშვო ბაღში გამაღი ააყივლეს

პროექტის ფარგლებში, ლაითურის №2 საბავშვო ბაღში აღსაზრდელმა დამსწრე საზოგადოებას, ნიშნად კარგი დღის გათქმისა, წითელბიბილიანი და ღებუბანი მამალი ააყივლეს. მათ მიზნადეული წარმოდგენა „დაიფილე, დაიფილე, მამალი“ ჩვენი აზრით, სრულყოფილად აკმაყოფილებს კონკურსის ყველა კრიტერიუმს. საბავშვო სპექტაკლში ბაღის თექვსმეტი აღსაზრდელი მონაწილეობდა და უნდა ითქვას, რომ თექვსმეტივე კარგად გაართვა თავი მათზე მხილობილი პრისონაჟების განსახიერებას.



ლაითურელთა „დაიფილე, დაიფილე მამალი“ საგახეთო აფიშა ასე გამოიყურება: მამალი – ქერიკე დავითაძე; ვინილები – გუჯაბაშვილი, სანდრო მეტეხიანი; მელია – ელენე ლუგაძე; ლიზა – ლიზა აბაშიძე; ნაცარა – ლიკა შავაძე; მურია – გიორგი დუშაძე; ცხვარუკა – გურამაძე ართურაძე; ოსა – გივი დეკანაძე; წიწილები – მადლა ვოცილაძე, ელენე ლუგაძე; ბავშვები – ალექსანდრე ზუციანიძე, ელენე გაბაძე;

ისეები – საბა დისაშვილი, რატი ლომიძე; კატა – ქერიკე მასარაძე. საბავშვო ბაღის მენეჯერი – დოლო თვარაქილაძე, აღმზრდელი – შინა ცეცხლაძე, მუსიკის მასწავლებელი – ხათუნა ბოლქვაძე.

დვავაშვილთა ერთ-ერთი უპირატესი ფაქტორია



საბავშვო სპექტაკლები ბევრი გენინაგეს, მერამ, კომპოზიციურად ბოლომდე სრულყოფილი, მუსიკალურად პარმონიული, თემატურად და იდეურად გამართული, მიზანსწრაფი და დინამიური, როგორც დეზაშუს საბავშვო ბაღში შემოგვთავაზა, ალბათ, თითზე ჩამოსათვლილია. დეზაშული აღსაზრდელის „რწყილი და ჭიანჭველა“ უფრო მასშტაბურ კონკურსებშიც მიიქცედა სპეციალისტთა ყურადღებას. ფორის საქმიანობაში ვერ ჩავერეთ, მერამ დეზაშუ, ჩვენი აზრით, ამ კონკურსის

ერთ-ერთი უპირატესი ფაქტორია. წარმოდგენის დღეს დეზაშულთა აფიშა ასე იკითხებოდა: მიხრობელი – მარი ფრენტი, რწყილი – ლუკა ხაფასია, ჭიანჭველა – სანდრო ცერცვაძე, ლორი – გიორგი ფანია, მუსა – მარი ბარამიძე, მარი კვირიკაშვილი, ყვავი – ანასტასია ლლონტი, კრუნი – ანასტასია დათუნაშვილი, წიწილები – თეკლა დობოჯუკიანი, ნინო ბარამიძე, თეკლა დლონტი, ორმო – ვალერი ტრაპაძე, თავი – გიორგი ტრაპაძე, კატები – ანასტასია, ელენე ჯავახიშვილი, მარი ცერცვაძე, ძროხა – ქეთი სინარულიძე. საბავშვო ბაღის მენეჯერი – ეკა სვანიძე, აღმზრდელი მასწავლებლები – ნანა დლონტი, ნანა დლონტი, მუსიკის მასწავლებელი – მია ხაფასია, ძიძა – ქეთინო დლონტი.

მზიანში, საბავშვო ბაღის აფიშანებულმა ახალგაზრდებმა საკონკურსოდ „სამი კნუტი“

მზიანში მორედ მოვხვდით და დავრწმუნდით, რომ მზე ნამდვილად ამ სოფლიდან ამოღის და მერე ანათებს მთელ დუნაის, შესაბამისად ყველა მზიანელი ბავშვი განსაკუთრებულად პირმშენიერი, დილის მზეს ჰგავს, ანუ შეუდარებელია, თუ მათ ნიჭიერებასაც გავითვალისწინებთ, მივხვდით ერთ უტყუარ აქსიომამდე: მზიანი მშვენიერებისა და ნიჭიერების ულუვე საბაღია.



რაც შეეხება მზიანელი აღსაზრდელის „სამი კნუტი“, რომელიც მათ საკონკურსოდ წარმოდგინეს, მისაბამია, ძვირფასეფიანია და „მზიანა კატა“ არასოდეს გადაიქცევა. წარმოდგენა „სამი კნუტი“ გვიჩვენებს მზიანელმა მზის სადარმა

აღსაზრდელმა: ლანა აბულაძემ, შოთა ართმელაძემ, ელენე გიორგაძემ, ზუკა დავლაძემ, ანანო კიასოდეს გადაიქცევა. წარმოდგენა „სამი კნუტი“ გვიჩვენებს მზიანელმა მზის სადარმა

ბაღის მენეჯერი – თამარ კვაძე, აღმზრდელები – ხათუნა ნიკოლაშვილი, ქეთევან ბასილია; აღმზრდელის თანაშემწე – თამარ ვაგველიძე, მუსიკის მასწავლებელი – თეა ვაშლიანიძე.

ასკანელთა ზღაპრული „დედობილი“



რაოდენ გუდასაწყვეტია, რომ ისეთ დიდ სოფელში, როგორც ასკანა, მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე მცირეკონტიგენტიანი საბავშვო ბაღი მოქმედებს. ეს მაშინ, როცა ძიძა მზიანების მთლებთან, აქ ბავშვთა მატებისათვის

უკეთესი პირობების სწავლა სოფლებთან შედარებით. ასკანელმა აღსაზრდელმა საკონკურსოდ ქართული ხალხური ზღაპარი „დედობილი“ მოამზადეს და შეიძლება ითქვას, რომ კარგი წარმოდგენა შემოგვთავაზეს. ასკანელთა

ნის საბავშვო ბაღი მსგავს კონკურსებში ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს.

გამოგატყვევით ასკანელთა აფიშა: მიხრობელი – ნიკოლოზ ვაგველიძე, მამალი – ლიზა ჩხაიძე, კაკანი კრუნი – ნინო ტოხვაძე, მედი – ლალი ქურასბელიანი, მელაკა – ვაკო ვასაძე, თიერი მელა – ნიკოლოზ ვასაძე, წიწილები – მელიკა ტოხვაძე, ცოტნე ვასაძე, მარიამ ქურასბელიანი, მარიამ ლიპარტელიანი, მამუკა შეშელიძე, გიორგი ქურასბელიანი, ტასო წყავარაძე.

საბავშვო ბაღის მენეჯერი – ნატო შანიძე, მასწავლებლები – ქრისტინა მეღუა, მადვალა თვარაქილაძე, მუსიკის მასწავლებელი – ირმა ცეცხლაძე.

7 დღის ამინდის პროგნოზი

ღრუბელი 0+6 11 დეკემბერი ორშაბათი	მზი ღრუბელი +3+10 12 დეკემბერი სამშაბათი	მზი +1+10 13 დეკემბერი ოთხშაბათი	მზი +1+11 14 დეკემბერი ხუთშაბათი	მზი +6+12 15 დეკემბერი პარასკევი	მზი ღრუბელი +7+12 16 დეკემბერი შაბათი	მზი +7+12 17 დეკემბერი კვირა
---	---	--	--	--	--	--